შპს „მამალაძე ჯგუფი“

2024 წლის
ფინანსური ანგარიშგება

ქუთაისი

2025 წ

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -3

2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება - - - - - - - - - - - - 4

3. ფულადი ნაკადების ანგარიშგება -5

4. კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება - 6

5. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - - - - - - - - - - - - - - - - - -7

შპს მამალაძე ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)

	საბალანსო ანგარიშგება	31-12-2024	31-12-2023	31-12-2022
1	ფულადი სახსრები	79,867.49	584,414.70	117,124.00
2	მოთხოვნები მიწოდება/მომსახურებიდან	243,675.39	111,500.43	241,701.00
3	სასაქონლო მარაგი	13,918.64	13,562.71	13,550.00
3.1	*ნედლეული და მასალები*	*13,918.64*	*13,562.71*	*13,550.00*
4	სხვა მოკლევადიანი აქტივები	*5,170.64*	*24,407.59*	*96,929.00*
სულ მიმდინარე აქტივები		**342,632.16**	**733,885.43**	**469,304.00**
5	ქონება, მიწა, აღჭურვილობა	15,597,858.31	14,196,309.48	9,600,330.15
5.1	*მიწის ნაკვეთები*	*5,535,750.00*	*5,535,750.00*	*4,886,550.00*
5.2	*შენობა-ნაგებობები*	*8,420,077.92*	*8,304,608.94*	*4,684,746.44*
5.3	*მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა*	*1,642,030.39*	*355,950.54*	*29,033.71*
6	არამატერიალური აქტივები	2,781.74	3,806.73	733.51
სულ გრძელვადიანი აქტივები		**15,600,640.05**	**14,200,116.21**	**9,601,063.66**
სულ აქტივები		**15,943,272.21**	**14,934,001.64**	**10,070,367.66**
7	საწესდებო კაპიტალი	2,000.00	2,000.00	2,000.00
8	სარეზერვო კაპიტალი	10,816,062.51	10,816,062.51	8,781,258.34
9	გაუნაწილებელი მოგება	23,815.51		180,783.00
10	დაუფარავი ზარალი (-)		(112,092.07)	
სულ საკუთარი კაპიტალი		**10,841,878.02**	**10,705,970.44**	**8,964,041.34**
11	დავალიანებები მიწოდება/მომსახურებიდან	126,185.08	8,450.30	5,224.00
12	გადასახდელი ხელფასები	612.00	112.00	4,000.00
13	საგადასახადო ვალდებულებები	524.74	0.00	0.00
14	გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	479,000.00	432,956.73	0.00
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**606,321.82**	**441,519.03**	**9,224.00**
15	გრძელვადიანი სესხი	4,495,072.37	3,786,512.17	1,097,102.32
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**4,495,072.37**	**3,786,512.17**	**1,097,102.32**
სულ ვალდებულებები		**5,101,394.19**	**4,228,031.20**	**1,106,326.32**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**15,943,272.21**	**14,934,001.64**	**10,070,367.66**

შპს მამალაძე ჯგუფი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარი)

			2024 წელი	2023 წელი
სულ შემოსავალი		*ლარი*	1,689,894.25	937,964.17
სულ დანახარჯები			1,539,679.74	1,215,978.34
სულ საოპერაციო შემოსავალი			1,689,481.78	912,748.74
სულ რსი			-	-
1	შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან		1,689,481.78	912,748.74
	გაწეული მომსახურების თვითღირებულება		-	-
		საერთო მოგება	1,689,481.78	912,748.74
2	*კომერციული, საერთო და ადმინ.-ლი ხარჯები*		*1,195,859.50*	*1,016,489.52*
2.1		შრომის ანაზღაურება (ბრუტო)	433,670.40	417,347.47
2.2		კომუნალური ხარჯები	205,192.06	63,459.47
2.3		რეკლამა, მარკეტინგი	46,631.00	1,050.00
2.4		ტრანსპორტის ხარჯები	-	67.80
2.5		კომუნიკაციის ხარჯი	11,632.57	-
2.6		საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	18,650.00	18,000.00
2.7		ცვეთა/ამორტიზაცია	311,494.31	163,663.62
2.8		საკანცელარიო ხარჯი	2,056.87	1,329.94
2.9		მიმდინარე რემონტის ხარჯი	-	19,692.96
2.1		სხვა ხარჯი	166,532.29	331,878.26
		საოპერაციო მოგება	493,622.28	(103,740.78)
3	*არასაოპერაციო შემოსავალი*		*412.47*	*25,215.43*
3.1		კურსთაშორის სხვაობით მიღ. მოგება	-	24,177.46
3.2		სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	412.47	1,037.97
4	*არასაოპერაციო ხარჯები*		*343,820.24*	*199,488.82*
4.1		კურსთაშორის სხვაობით მიღ. ზარალი	13,176.04	-
4.2		საპროცენტო ხარჯი	330,637.14	199,488.82
4.3		სხვა არასაოპერაციო ხარჯი	7.06	-
		მოგება დაბეგვრამდე	150,214.51	(278,014.17)
5	მოგების გადასახადი		-	-
		წმინდა მოგება	150,214.51	(278,014.17)

შპს მამალაძე ჯგუფი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (პირდაპირი)			ლარი
		2024 წელი	2023 წელი
ფულადი სახსრ. პერიოდის დასაწყისში		**584,414.70**	**117,124.00**
სულ ფულადი ნაკადების შემოდინება		**1,884,414.14**	**1,140,142.54**
	შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	1,884,414.14	1,140,142.54
საოპერაციო ფულადი სახსრების გადინება		**1,231,840.76**	**1,070,255.76**
-	შრომის ანაზღაურება	428,516.43	361,356.33
-	კომუნალური ხარჯები	205,192.00	63,459.69
-	ტრანსპორტის ხარჯი		67.80
-	გადასახადები	586,112.21	254,633.85
-	სხვა ხარჯები	12,020.12	390,738.09
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(1,884,241.09)**	**(2,734,279.44)**
-	ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების შეძენა	385,145.09	356,314.21
+	ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების გაყიდვა	-	-
-	კაპიტალური ხარჯები	1,499,096.00	2,377,965.23
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		**727,120.50**	**3,131,683.36**
-	კურსთა შორის უარყოფითი სხვაობა	13,176.04	-
+	კურსთა შორის დადებითი სხვაობა	-	24,177.46
+	აღებული სესხი	1,184,185.00	3,354,030.00
-	სესხის დაფარვა	429,581.53	231,663.42
+	ბიზნესში ინვესტირებული ფული	-	-
-	დივიდენდი	14,306.93	14,860.68
წმინდა ფულადი სახსრები		**(504,547.21)**	**467,290.70**
ფულადი სახსრ. პერიოდის ბოლოს		**79,867.49**	**584,414.70**

შპს მამალაძე ჯგუფი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

განზ. ერთეული: ლარი

2024 წელი		საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი პერიოდის დასაწყისში (01.01.2024)		**2,000.00**	**10,816,062.51**	**-**	**(112,092.07)**	**10,705,970.44**
+	ზრდა პერიოდის განმავლობაში		-	150,214.51		**150,214.51**
-	კლება პერიოდის განმავლობაში	-		(14,306.93)		**(14,306.93)**
ნაშთი პერიოდის ბოლოს (31.12.2024)		**2,000.00**	**10,816,062.51**	**135,907.58**	**(112,092.07)**	**10,841,878.02**

შპს „მამალაძე ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წელი

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “მამალაძე ჯგუფი“ (ყოფილი, შპს ავტოტრანსპორტი 91) რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში 1995 წლის 29 დეკემბერს.

შპს „მამალაძე ჯგუფის“ სახელწოდება 2023 წლის ოქტომბრამდე იყო შპს „ავტოტრანსპორტი 91“. დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით მოხდა კომპანიის სახელის ცვლილება, რაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრაციაში გატარდა 2023 წლის 31 ოქტომბერს.

შპს „მამალაძე ჯგუფის“ გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი არის 212670091. კომპანიის მისამართია: ქალაქი ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის ქ. #53 გ. შპს-ს დამფუძნებლები არიან:

- ქეთევანი მაჩიტიძე - 5,25%;
- გულნაზ მამალაძე - 5,25%;
- სალომე მამალაძე - 89,5%.

შპს „მამალაძე ჯგუფის“ საქმიანობის პროფილი არის უძრავი ქონების (არასაცხოვრებელი ფართების) გაქირავება.

გასაქირავებელი უძრავი ქონებები მდებარეობს:

- ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის ქ. #53
- ქ. თბილისი, მირიან მეფის 46

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს მხოლოდ ერთი საწარმოს - შპს „მამალაძე ჯგუფის“ ფინანსურ ანგარიშგებას.

საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო პერიოდი არის კალენდარული წელი, რომელიც დაიწყო 2024 წლის 1 იანვარს და დამთავრდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

მომზადების საფუძველი

შპს „მამალძე ჯგუფის“ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ შპს „მამალაძე ჯგუფი“ უწყვეტად განაგრძობს თავის საქმიანობას: პარტნიორები და ხელმძღვანელობა არ გეგმავენ მის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას და არ არსებობს გარემოებები, რომლებიც აიძულებს მათ ამის გაკეთებას.

აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის აღრიცხვისათვის გამოყენებულია დარიცხვის მეთოდი - ოპერაციების შედეგები და სხვა მოვლენები აღიარდება მათი წარმოშობისას/მოხდენისას (და არა ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების მიღების ან გადახდისას) და აისახება იმ პერიოდის სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც მათ ჰქონდათ ადგილი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ქონია რაიმე მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში მის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას.

ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარებში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები, ფინანსურ აღრიცხვაში ასახულია საანგარიშგებო ვალუტაში, ოპერაციის განხორციელების დროისათვის არსებული გაცვლითი სავალუტო კურსების შესაბამისად, ხოლო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის არსებული ფულადი ნაშთები საანგარიშგებო ვალუტაში კონვერტირებულია შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის პირველი და ბოლო დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ვალუტა	გაცვლითი კურსი 01.01.2024	გაცვლითი კურსი 31.12.2024
აშშ დოლარი	1 USD = 2.6894 GEL	1 USD = 2.8068 GEL
ევრო	1 EUR = 2.9753 GEL	1 EUR = 2.9306 GEL

სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი დებულებები და სხვა განმარტებითი ინფორმაცია

წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა ეხება ანგარიშგებაში წარდგენილ ყველა წელს, თუ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული რამ არ არის მოცემული.

ფულადი სახსრები

- კომპანიის ფულადი სახსრების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, ისევე როგორც შესადარისი პერიოდის ბოლოსათვის, მოიცავს ანგარიშსწორების ანგარიშზე და ორგანიზაციის სალაროში არსებულ ფულად ნაშთებს, მათ შორის ეროვნულ ვალუტას (ლარს) და უცხოურ ვალუტას, რომელიც წარმოდგენილია აშშ დოლარის და ევროს სახით;

- ეროვნულ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები კომპანიის სალაროში და ანგარიშსწორების ანგარიშზე წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ფულადი საშუალება (ლარი)	ნაშთი 01.01.2024-თვის	ნაშთი 31.12.2024-თვის
სალარო	1,66	196,26
ბანკი	476 396,26	29 508,77
სულ	476 397,92	29 705,03

- უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაცია საანგარიშგებო ვალუტაში და შეტანა ანგარიშგებაში ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. კერძოდ, კომპანიის უცხოური ვალუტის ნაშთები, მათი კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში და წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შემდეგი სახით:

თარიღი	ნაშთი (ევრო)	ოფიციალური გაცვლითი კურსი	ნაშთი (ლარი)
01.01.2024	36 304,50	2,9753	108 016,78

31.12.2024	17 116,78	2,9306	50 162,46

აქტივების თვითღირებულება

- აქტივების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის/შექმნის ღირებულებას და შეძენასთან/შექმნასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს;

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

- შეძენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო ხარჯვისას მათი შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით;

- სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვისათვის გამოიყენება უწყვეტი აღრიცხვის მეთოდი;

- კომპანიის არსებული მარაგები ძირითადად მოიცავს სამშენებლო-სარემონტო და სამეურნეო მასალებს;

დებიტორული დავალენება

- კომპანიის დებიტორული დავალიანებები როგორც საანგარიშგებო, ისე შესადარისი პერიოდისათვის, წარმოადგენს მოთხოვნებს, რომლებიც წარმოიქმნა მოიჯარეებზე დარიცხული საიჯარო ქირითა და მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების საფუძველზე;

ძირითადი საშუალებები

- კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ნარჩენი ღირებულებით - თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით. კომპანიის ძირითად საშუალებებში გამოყოფილია შემდეგი ჯგუფები: მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა, რომელიც გამოიყენება იჯარით გასაცემად, მოიჯარეთათვის მომსახურების გასაწევად და ადმინისტრაციული დანიშნულებით.

	ნაშთი 31.12.2024-თვის (ლარი)	ნაშთი 01.01.2024-თვის (ლარი)

მიწის ნაკვეთი	5 535 750,00	5 535 750,00
შენობა-ნაგებობები	8 420 077,92	8 304 608,94
მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა	1 642 030,39	355 950,54
სულ ძირითადი საშუალებები	**15 597 858,31**	**14 196 309,48**

- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი დარიცხვის (თანაბარზომიერი ჩამოწერის) მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად;

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება მენეჯმენტის შეფასებით, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის ის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. ამასთან, სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას მენეჯმენტის მიერ გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების გარემო;

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

#	ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
1	მიწის ნაკვეთი	არ ერიცხება ცვეთა
2	შენობა-ნაგებობები	30-40 წელი
3	მანქანა-დანადგარები	5-10 წელი
4	ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი
5	სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

- ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი, ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები;

- ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები ემატება შესაბამისი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას, თუ ეს ხარჯი უზრუნველყოფს მისგან მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის გაზრდას (კაპიტალური რემონტი) და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები, რომლებიც მიზნად ისახავს მისგან დაგეგმილი ეკონომიკური სარგებლის მიღებას (მიმდინარე რემონტი), გაწევისთანავე აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ხარჯი;

- გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების ზარალს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში;

- გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების რეზერვს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში;

არამატერიალური აქტივები

- არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით, რომელიც აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით;

- არამატერიალურ აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი დარიცხვის (თანაბარზომიერი ჩამოწერის) მეთოდის საფუძველზე, მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად;

- მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, არსებული არამატერიალური აქტივების სპეციფიკის გათვალისწინებით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 5 წელი;

ვალდებულებები

- კომპანიის მოკლევადიანი/მიმდინარე კრედიტორული ვალდებულებები წარმოადგენენ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნა სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების (მათ შორის კომუნალური მომსახურებების) შემდგომი გადახდის პირობით შესყიდვის შედეგად და როგორც წესი, იფარება მომდევნო საანგარიშო პერიოდში; ასევე წარმოადგენენ გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილს, რომელიც იფარება საანგარიშო პერიოდში;

- კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის მიერ აღებულ გრძელვადიან საბანკო სესხს, რომელიც გამოყენებული იქნა გრძელვადიანი აქტივის შექმნისათვის. სესხი აღებულია უცხოურ ვალუტაში (ევროში) და მისი სრულად დაფარვა მოხდება 2034 წელს.

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფარული იქნა სესხის ძირი და გადახდილი იქნა პროცენტი შემდეგი ოდენობით:

დაფარული სესხის ძირი	429 581,53 ლარი
გაწეული საპროცენტო ხარჯი	330 637,14 ლარი

- საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის სასესხო ვალდებულებების ნაშთები წარმოდგენილია შემდეგი ოდენობით:

ნაშთი: 01.01.2024 (ლარი)	2024 წელში აღებული სესხი (ლარი)	2024 წელში დაფარული სესხი (ლარი)	ნაშთი: 31.12.2024 (ლარი)
4 219 468,90	1 184 185,00	429 581,53	4 974 072,37

კომპანიის კაპიტალი

- კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებს შორის. ის მოიცავს დამფუძნებლის შენატანებს (საწესდებო კაპიტალს), სარეზერვო კაპიტალს და კაპიტალის ნაზარდს, რომელიც წარმოიქმნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად და რჩება კომპანიას საოპერაციო საქმიანობისათვის, დამფუძნებლებისათვის დივიდენდების გადახდის შემდეგ; ისევე როგორც კაპიტალის კლებას, რომელიც წარმოიქმნა კომპანიის მიერ მიღებული ზარალის შედეგად;

- კომპანიის სარეზერვო კაპიტალი ძირითადად შექმნილია კომპანიის ძირითადი საშუალებების აფასების საფუძველზე;

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

- შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების მიწოდების შემდეგ, კალენდარული თვეების მიხედვით, დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, მოიჯარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად;

- კომპანიის შემოსავლების ძირითად წყაროს (საოპერაციო შემოსავალს) წარმოადგენს უძრავი ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლები;

- კომპანიის შემოსავლებში/ხარჯებში აღიარდება არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები/ხარჯები, მათ შორის ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ფინანსური შედეგები;

- კომპანიის ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით;

დაბეგვრა

- კომპანიის მიერ გადასახადების დარიცხვისას და გადახდისას, გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები;

შპს „მამალაძე ჯგუფი“-ს დირექტორი

/სალომე მამალაძე/

212670091